

20.06.2019

### ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში 2019 წლის მაისი

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 1.6 პროცენტით შემცირდა. აღნიშნულ პერიოდში ფასების 12.0 პროცენტიანი კლება დაფიქსირდა ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და ცხელი წყლის ჯგუფზე.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი გაიზარდა 4.0 პროცენტით. დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე ფასები გაიზარდა 6.9 პროცენტით, სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციის ჯგუფზე კი 4.4 პროცენტით. ფასები 10.2 პროცენტით შემცირდა ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და ცხელი წყლის ჯგუფზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2019 წლის მაისში ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილებები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2018 წლის მაისთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	<b>სულ</b>	<b>104.0</b>	<b>3.95</b>
C	სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია	104.4	0.18
D	დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია	106.9	5.38
DA	კვების პროდუქტები, სასმელები და თამბაქოს ნაწარმი	106.4	2.30
E	ელექტროენერჯია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი	89.8	-1.61

\*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.06.2019

### ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი (წინა წლის შესაბამისი თვე =100)

